9 აპრილი

გვახსოვს

დღევანდელი პერფორმანსი მიეძღვნა 1989 წლის 9 აპრილს, სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეს.

ზანის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ დღევანდელ დღეს ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების სურვილითა და მოთხოვნით დაიწყო მოძრაობა. ვისაც გული ერჩოდა და შესტკიოდა სამშობლოს კეთილდღეობაზე, შეიკრიბა მაშინდელი პარლამენტის შენობის წინ. მათი ერთადერთი სურვილი და მიზანი იყო მსოფლიოსათვის მიეწვდინათ ხმა, რომ მამული და ენა ქართველისთვის იდენტობის ტოლფასია.

√ სწორედ ამ დღეს 33 წლის წინ აღსრულდა ნება ქართველი ხალხისა!

მათი ლოზუნგი იყო: ---

√ **სამშობლო, ჩემი გულის ფეთქვაა,**

სამშობლო, ჩემი ლექსის სახელი

სამწუხაროდ, მამულიშვილთა სამართლიანი მოთხოვნა და საქციელი „ურჩთა ჭკუის სწავლებით“ დამთავრდა. როცა ადამიანის ბედის შეცვლის საფუძველი სახელმწიფოს ბედის შეცვლის დასაწყისია პოზიტიური მიმართულებით, უკვდავია ის და მისი საქციელი.

გვჯერა, ერთი წმინდა სანთელი მარად ენთება ამ დაღუპულ გმირთა პატივის მისაგებად!

√ „დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს,

ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლი დაღვარა,

მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს...!“

√ „რაც უნდა პატარა იყოს სამშობლო ქვეყანა, პატიოსანს გულში მაინც ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს“!

გვჯერა, 1989 წლის 9 აპრილი საქართველოს ისტორიაში აღინიშნება, როგორც სიმბოლო ჩვენი წარსული და მომავალი გამარჯვებებისა!.. და დავძენთ:

√ **„არ არის მკვდარი, ვინც მოკვდეს და ხალხს შესწიროს თავია.**

მკვდრად ისა თქმულა, ვისაც აქ სახელი არ დარჩენია“!..

მრავალი მისაზრება გამოითქვა, ერთხმად შევთანხმდით, რომ არა 9 აპრილი, რომ არა იმ გმირთა თავგანწირვა, ვინც საკუთარი სისხლით და სიცოცხლით ზღო „ურჩობა“, დამეთანხმებით, ქართველი საკუთარ იდენტობას ვერ დაიბრუნებდა!

ზეიმის ბოლო აკორდი --- **სანთლებით ხელში,** საქართველოს მაშინდელი სახელმწიფოს ჰიმნის ფონზე **წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს სამშობლოსათვის ზვარაკად შეწირულთა ხსოვნას!**

√ **„ათას ცოცხალსა ბევრჯელა,**

ასჯერ სჯობს ერთი მკვდარია!“

პატივისცემით:

ზანის საჯარო სკოლის დირექტორი

რ. კვაშილავა